1984/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 8

1 9 8 4

უმაღლესი საბჭოს
უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თ ბ ი ლ ი ს ი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 8 (488) აგვისტო 1984 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

253. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 24 მარტის ბრძანებულების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.
254. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 29 მაისის ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
255. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ი. ბახტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად არჩევის შესახებ.
256. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ.
257. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსისათვის 179[1] მუხლის დამატების შესახებ.
258. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ.
259. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის შესახებ დებულებაში დამატების შეტანის თაობაზე.

განყოფილება მეორე

260. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემის მუშაკთათვის „საქართველოს სსრ დაჯილდოებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

261. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ბ. ბარათაშვილისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

262. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ე. ს. დანელიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

263. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ს. მათითაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

264. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ს. მგელაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

265. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. ა. პავლიშჩევისათვის „საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

266. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

267. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

268. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ს. ბოჭოიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

269. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ი. კალანდარიშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

270. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

271. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრ კავშირის მშენებანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

272. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მუშაკთათვის „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

273. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემის მუშაკთათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

274. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზ. ო. ბარამიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

275. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ბ. ქურჩიშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

276. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

277. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

278. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. ჯ. ინაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

279. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ვ. კავაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

280. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. მ. ყურშუბაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

281. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. კ. ს. შაკრილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

282. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ს. ხარაბაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

283. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ა. ბოკუჩავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

284. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ი. კალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

285. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ი. ურუშაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

286. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის მედიცინის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

287. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

288. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. მ. ისაკაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

289. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. შ. გ. ნაფეტვარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

290. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. პ. ვ. საყვარელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

291. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ს. ფრანგიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

292. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

253 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 24 მარტის გრძანებულების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„1000 ვოლტის ზევით ძაბვის ელექტროქსელების დაცვის წესების შესრულებისათვის პასუხისმგებლობის გაზრდის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1984 წლის 30 მარტის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 24 მარტის ბრძანებულება „მაღალძაბვიანი ელექტროქსელების დაზიანებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1970 წ., № 3, მუხ. 32).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 3 აგვისტო.
№ 2596—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

254 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 29 მაისის გრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს „1000 ვოლტამდე ძაბვის ელექტროქსელების დაზიანებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 29 მაისის ბრძანებულებაში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., № 5, მუხ. 73) შემდეგი ცვლილებები:

პირველ მუხლში სიტყვები „დამნაშავენი დაჯარიმდებიან ადმინისტრაციული წესით შემდეგი ოდენობით: მოქალაქენი — 25 მანეთამდე და თანამდებობის პირნი — 50 მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „მოქალაქეებს მიეცემათ გაფრთხილება ან ისინი დაჯარიმდებიან 25 მანეთამდე, ხოლო თანამდებობის პირებს მიეცემათ გაფრთხილება ან დაჯარიმდებიან 50 მანეთამდე“.

მეორე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ ბრძანებულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ დარღვევათა შესახებ საქმეებს განიხილავენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები, ხოლო თუ სამართალდარღვევა ჩადენილია მოქალაქის მიერ — აგრეთვე სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოების

აღმასრულებელი კომიტეტები ან სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები. ოქმებს ელექტროქსელების დაზიანების შესახებ შეადგენენ იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები, რომელთა გამგებლობაშია ელექტროქსელები“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 3 აგვისტო.
№ 2597—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

255 ამხ. გ. ი. ბახტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ამხ. გივი ივანეს ძე **ბახტაძე** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 7 აგვისტო.
№ 2599—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

256 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10; 1970 წ., № 5, მუხ. 74; 1973 წ., № 5, მუხ. 72; 1974 წ., № 9, მუხ. 171; 1980 წ., № 7, მუხ. 217; 1982 წ., № 12, მუხ. 371) შემდეგი დამატებები და ცვლილებები:

1. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 223[1] მუხლი:

„მუხლი 223[1]. ფიქტიური ქორწინება ან ფიქტიური განქორწინება

ფიქტიური ქორწინება ან ფიქტიური განქორწინება ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ორას მანეთამდე“.

2. 235-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 235.** აზარტული თამაში

აზარტული თამაში ფულზე, ნივთებზე ან სხვა მატერიალურ ფასეულობაზე —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთიდან ორ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით ან იმ პირის მიერ, რომელიც თავს არიდებს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

ბუნაგის მოწყობა აზარტული თამაშისათვის —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთიდან ორ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ“.

3. 44-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე პუნქტში სიტყვები „150-ე, 151-ე და 153-ე მუხლების მეორე ნაწილები“ შეიცვალოს სიტყვებით „150-ე და 151-ე მუხლების მეორე და მესამე ნაწილები, 153-ე მუხლის მეორე ნაწილი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 17 აგვისტო.
№ 2622—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

257 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსისათვის 179[1] მუხლის დამატების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაემატოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს შემდეგი შინაარსის 179[1] მუხლი:

„**მუხლი 179[1].** ვენახის უკანონო აჩეხვა

მოქალაქის მიერ თავის საკარმიდამო ნაკვეთზე ვენახის აჩეხვა სათანადო ნებართვის გარეშე —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით სამას მანეთამდე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 22 აგვისტო.
№ 2624—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

258 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 238. იარაღის, საბრძოლო მასალისა და ფეთქებად ნივთიერებათა უკანონოდ ტარება, შენახვა, შეძენა, დამზადება ან გასაღება

ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანისა), საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა სათანადო ნებართვის გარეშე ტარება, შენახვა, შეძენა, დამზადება ან გასაღება —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

შენიშვნა: პირი, რომელმაც ნებაყოფლობით ჩააბარა ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა ან ფეთქებადი ნივთიერებები, რომლებიც მას სათანადო ნებართვის გაერშე ჰქონდა, თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

ხანჯლის, ფინური დანის ან სხვაგვარი ცივი იარაღის სათანადო ნებართვის გარეშე ტარება, დამზადება ან გასაღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს მოქმედება დაკავშირებულია რეწვის, სამსახურის ან საყოფაცხოვრებო პირობებთან, აგრეთვე როდესაც ეს იარაღი ეროვნული ტანსაცმლის სამკაულს წარმოადგენს, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ას მანეთამდე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 24 აგვისტო
№ 2628—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

259 საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის შესახებ დებულებაში დამატების შეტანის თაობაზე

„1 სექტემბრის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად — ცოდნის დღედ გამოცხადების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1984 წლის 15 ივნისის გრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 18 ივნისის გრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის შესახებ დებულების (საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1981 წ., № 6, მუხ. 109) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტს სიტყვების „9 მაისს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „1 სექტემბერს“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 28 აგვისტო.
№ 2635—X

განკოფილება მეორე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

260 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემის მუშაკთათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“** მიენიჭოთ:

დეკანოსიძეს ელენე ნიკოლოზის ასულს — ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს.

კიუნს გერმან თევდორეს ძეს — კ. ს. ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის ჯგუფის ხელმძღვანელს.

მანჯავიძეს ზურაბ შალვას ძეს — ფიზიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს.

ჯიკაევას გალინა ალექსანდრეს ასულს — კ. ს. ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 3 აგვისტო.
№ 2595—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

261 ამხ. ა. ბ. ბარათაშვილისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგეს ამხ. ავთანდილ ბესარიონის ძე **ბარათა-**

შვილს მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 3 აგვისტო.
№ 2594—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

262 ამხ. ე. ს. დანელიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის ჩაის მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების შემოქმედის ექსპერიმენტული ჩაის ფაბრიკის უფროს ეკონომისტს ამხ. ევგენია სოლომონის ასულ **დანელიას** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 3 აგვისტო.
№ 2593—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

263 ამხ. გ. ს. მათითაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სამშენებლო ორგანიზაციებში, საბჭოთა ორგანოებსა და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების გამგეს ამხ. გურამ სევერიანეს ძე **მათითაშვილს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 3 აგვისტო.
№ 2592—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

264 ამხ. გ. ს. მგელაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საგეგმო-საფინანსო ორგანოებში, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის აპარატში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგეს ამხ. გოჩა სიმონის ძე **მგელაძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 3 აგვისტო.
№ 2591—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

265 ამხ. მ. ა. პავლიშჩევისათვის „საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კავშირგაბმულობის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცწლეთან დაკავშირებით სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს კავშირგაბმულობის ნაგებობათა ძიებისა და დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის მთავარ ინჟინერს ამხ. მიხეილ ალექსანდრეს ძე **პავლიშჩევს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 7 აგვისტო.
№ 2598—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

266 „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი და ეფექტიანი საგამომგონებლო მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებელი“:**

მახარაძეს ლეონ ილიას ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვანიძეს ვალერი სამსონის ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 10 აგვისტო.
№ 2602—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

267 „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“:**

თოფურიას შალვა სოლომონის ძეს — გამომცემლობა „მეცნიერების“ სოციალურ-ეკონომიკური ლიტერატურის რედაქციის გამგეს.

მახარაძეს მადონა შალვას ასულს — გამომცემლობა „მეცნიერების“ რედაქტორს.

სამსონიას ოფელია ავთანდილის ასულს — გამომცემლობა „მეცნიერების“ რედაქტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 10 აგვისტო.
№ 2605—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

268 ამხ. ო. ს. ბოჭოიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრკ 50 წლისთავის სახელობის თბილისის საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორს ამხ. ოთარ სიმონის ძე **ბოჭოიძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 10 აგვისტო.
№ 2606—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

269 ამხ. ვ. ი. კალანდარიშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის გამგეს, პროფესორ ვახტანგ ილიას ძე **კალანდარიშვილს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 10 აგვისტო.
№ 2603—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

270 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

კიკნაძეს ომარ ვლადიმერის ძეს — ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებელი“

გუგუნაშვილს ვალერიან ალექსის ძეს — „საქკოოპმშენის“ ტრესტის თბილისის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ქარხნის ამწეს მემანქანეს.

მილაძეს მიხეილ ტუხას ძეს — „საქკოოპმშენის“ თბილისის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ქარხნის ხუროს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 16 აგვისტო.
№ 2621—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

271 სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მუშაკებისათვის საქართველოს საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის მშენბანკის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

გელაშვილს ივანე არტევანის ძეს — სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის ტექნიკური სამმართველოს მთავარ ინჟინერს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“

მიკუჩაძეს ტერენტი ერმოლოზის ძეს — სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის რკინიგზის განყოფილების მმართველს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 16 აგვისტო.
№ 2619—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

272 საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მუშაკთათვის „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს საზღვაო სანაოსნოში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის შექმნის 60 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი“:**

გაიდამაშჩუკს თეიმურაზ გიორგის ძეს — თბომავალ „ფილიპე მახარაძის“ კაპიტანს.

გერუსს ივანე მაქსიმეს ძეს — თბომავალ „გიორგი ლეონიძის“ უფროს მექანიკოსს.

დერბიშევას ოლღა სერგის ასულს — საქართველოს საზღვაო სანაოსნოს რადიოცენტრის რადიოოპერატორს.

კარალ-ოღლის ჯინარ ჯამალის ძეს — სოხუმის საზღვაო ნავსადგურის უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 16 აგვისტო.
№ 2616—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

273 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემის მუშაკთათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი“:**

გიორგობიანს ოღლა აბრამის ასულს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსს.

დემეტრაშვილს თამარ ვასილის ასულს — კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროს ბუღალტერს.

მარშანიას რუსუდან გიორგის ასულს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქმეთა მმართველობის მთავარ ბუღალტერს.

ჭკუასელ-დუდუჩავას ნადეჟდა სილიბისტროს ასულს — გეოფიზიკის ინსტიტუტის მთავარ ბუღალტერს.

ჯანაშვილს ნადეჟდა მორდეხის ასულს — სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს ბუღალტერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 16 აგვისტო.
№ 2615—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

274 ამხ. ზ. ო. ბარამიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საპროექტო ორგანიზაციებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, ამიერკავკასიის რკინიგზის ობიექტების დასაპროექტებლად სსრ კავშირის გზათა სამინისტროს საწარმოო და საგეგმო დავალებათა შესრულების მაღალი მაჩვენებლებისათვის კავკასიის საპროექტო-საძიებო ინსტიტუტ „კავჟელდორ-

პროექტის“ თბილისის ფილიალის დირექტორს ამხ. ზურაბ ონოფრეს ძე **ბარამიძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 16 აგვისტო.
№ 2620—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

275 ამხ. ი. ბ. ჟურჩიშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და მედიცინის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ იოსებ ბენიამინის ძე **ჟურჩიშვილს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 16 აგვისტო.
№ 2612—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

276 რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

ვეკუას ვაჟა რაჟდენის ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქნახშირის“ დირექტორს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და ტრანსპორტის დარგში.

ლეჟავას ვახტანგ მარკის ძეს — საქართველოს შახტების დამპროექტებელი სახელმწიფო ინსტიტუტის განყოფილების უფროსს.

„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“

ღურწკაიას ვარლამ ლაზარეს ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქნახშირის“ „ტყვარჩელის“ მაღაროთსამმართველოს ოსტატ-ამფეთქებელს.

ცოცქოშკელს გიორგი პავლეს ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქნახშირის“ ვ. ი. ლენინის სახელობის საწმენდი სანგრევის მუშას.

ხელიაძეს საშა სევერიანის ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქნახშირის“ „დასავლეთის“ შახტის საწმენდი სანგრევის მუშას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 22 აგვისტო.
№ 2625—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

277 საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

საზღვარგარეთის ქვეყნებთან კავშირის გაფართოებისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

თეთრაძეს დარეჯან პეტრეს ასულს — უფროს რეფერენტს.
ცაგარეიშვილს ივანე კონსტანტინეს ძეს — განყოფილების გამგეს.
ჭელიძეს მარინე პიმენის ასულს — უფროს რეფერენტს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი“

თევზაძეს კამინო ანთიმოზის ასულს — მთავარ ბუღალტერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 22 აგვისტო.
№ 2627—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

278 ამხ. ს. ჯ. ინაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით აჭარის

საქ. სსრ ჯ. შარაშიძის სახ. სახ. რესპუბ.

ასსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. სულიკო ჯემალის ძე **ინაიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 3 აგვისტო.
№ 2589—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

279 ამხ. ვ. ვ. კავაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი ამხ. ვასილ ვარდენის ძე **კავაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 3 აგვისტო.
№ 2588—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

280 ამხ. ნ. მ. ყურშუბაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი ამხ. ნოდარ მურადის ძე **ყურშუბაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 3 აგვისტო.
№ 2586—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

281 ამხ. კ. ს. შაკრილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების ოთხმოცდახუთ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე კონსტანტინე სიმონის ძე **შაკრილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 3 აგვისტო.
№ 2590—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

282 ამხ. გ. პ. ხარაბაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის საფინანსო-სამეურნეო განყოფილების გამგე ამხ. გივი პოლიკარპეს ძე **ხარაბაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 3 აგვისტო.
№ 2586—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

283 ამხ. გ. ა. ბოკუჩავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირულ, პარტიულ, საგეგმო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის რესპუბლიკური მრეწველობის განყო-

ფილების უფროსი ამხ. გრიგოლ აკაკის ძე **ბოკუჩავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 10 აგვისტო.
№ 2601—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

284 ამხ. ნ. ი. კალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის და დაბადების სამოცდათხუთმეტ წელთან დაკავშირებით გადამდგარი გენერალ-მაიორი ნიკოლოზ ივანეს ძე **კალაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 10 აგვისტო.
№ 2607—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

285 ამხ. ა. ი. ურუშაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი ამხ. ამირან იასონის ძე **ურუშაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 10 აგვისტო.
№ 2604—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

286 რესპუბლიკის მედიცინის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

გაფრინდაშვილი მარგალიტა გრიგოლის ასული — თბილისის № 27 აფთიაქის ასისტენტი.

ზენაიშვილი ოთარ პლატონის ძე — ს. ვირსალაძის სახელობის პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი.

ზირაქიშვილი ლემ მიხეილის ძე — ს. ვირსალაძის სახელობის პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი.

თევზაძე გიორგი სარდიონის ძე — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს ექიმი-მეთოდისტი.

თვაური თამარ გიორგის ასული — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური კლინიკური ინფექციური საავადმყოფოს სანიტარი.

კალანდაძე კლარა ელიზბარის ასული — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს უფროსი მედდა.

მთვარელიძე ალექსი ალექსანდრეს ძე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს მთავარი სპეციალისტ-ეპიდემიოლოგი.

ქურციკაშვილი ლევან სოლომონის ძე — ს. ვირსალაძის სახელობის პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

შავდია დავით პლატონის ძე — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 16 აგვისტო.
№ 2611—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

287 საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს საზღვაო სანაოსნოში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის შექმნის 60 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

ბაგრატია ნოდარ ნიკოლოზის ძე — თბომავალ „ქერჩის“ უფროსი მოტორისტი.

ბოლქვაძე სიმონ ისკანდერის ძე — თბომავალ „საბჭოთა საქართველოს ორმოცდაათი წლისთავის“ ელექტრიკოსი.

ზავადსკი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე — თბომავალ „დავით გურამიშვილის“ ტუმბოს მემანქანე.

კახიძე თეიმურაზ სულეიმანის ძე — საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მცურავი შემადგენლობის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე.

კვიკვიძე ალექსანდრე გიორგის ძე — საქართველოს საზღვაო სანაოსნოს საზღვარგარეთ ნაოსნობის მეზღვაურებთან მუშაობის ორგანიზაციის განყოფილების უფროსი.

ნადარაია მამია ისაკის ძე — ფოთის საზღვაო ნავსადგურის სამეურნეოანგარიშიანი გამსხვილებული კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი.

ფატლაძე ჟანი შაიზის ძე — საქართველოს კომპარტიის საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პარტიული კომიტეტის მდივანი.

რატიანი ალექსანდრე ევსევის ძე — ბათუმის საზღვაო ნავსადგურის უფროსი.

სახნოვსკი ნორბერტ როსტისლავის ძე — ბათუმის საზღვაო ნავსადგურის სატვირთო რაიონის ზეინკალ-ელექტრიკოსი.

ღურწკაია ბონდო მიხეილის ძე — ფოთის საზღვაო ნავსადგურის სამეურნეოანგარიშიანი გამსხვილებული კომპლექსური ბრიგადის მერგოლური.

ხოზრევანიძე სიმონ ასლანის ძე — თბომავალ „ჩკალოვის“ მესამე მექანიკოსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 16 აგვისტო.
№ 2617—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

288 ამხ. ლ. მ. ისაკაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ლევან მიხეილის ძე **ისაკაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 22 აგვისტო.
№ 2618—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

289 ამხ. შ. გ. ნაფეტვარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. ს. ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დირექტორი ამხ. შიო გერმანეს ძე **ნაფეტვარიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 16 აგვისტო.
№ 2613—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

290 ამხ. პ. ვ. საყვარელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით წყალტუბოს სანატორიუმ „ცენტროსოიუზის“ მთავარი ექიმი ამხ. პლატონ ვიქტორის ძე **საყვარელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 16 აგვისტო.
№ 2610—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

291 ამხ. ა. ს. ფრანგიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის და დაბადების სამოცდათხუთმეტ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე სევერიანის ძე **ფრანგიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 16 აგვისტო.
№ 2614—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

292 რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

ბერძული ბონდო მინას ძე — საწარმოო გაერთიანება „საქნახშირის“ „აღმოსავლეთ-2“ შახტის საწმენდი სანგრევის მუშა.

დემურია რევაზ ჩონჩიას ძე — საწარმოო გაერთიანება „საქნახშირის“ „ტყვარჩელის“ მაღაროთსამმართველოს საწმენდი სანგრევის მუშა.

კალანდაძე რეზო არტევანის ძე — საწარმოო გაერთიანება „საქნახშირის“ „აღმოსავლეთ-2“ შახტის მექანიკოსი.

კუბლაშვილი ულევი ვიქტორის ძე — საწარმოო გაერთიანება „საქნახშირის“ ორჯონიკიძის სახელობის შახტის უბნის უფროსი.

მარგველაშვილი ზაურ სანდროს ძე — საწარმოო გაერთიანება „საქნახში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის“ ვ. ი. ლენინის სახელობის შახტის სამთო ოსტატი.

ჯიშიაშვილი სევასტი ვლადიმერის ძე — საწარმოო გაერთიანება „საქნახშირის“ „დასავლეთის“ შახტის სამთო ოსტატი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 22 აგვისტო.
№ 2626— X

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1984 წლის 24 აგვისტოს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა. სხდომამ განიხილა საკითხი „ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მითითებათა შესაბამისად მშრომელთა წერილებისა და განცხადებების დროული და ხარისხიანი განხილვისათვის რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ“ საქართველოს პარტიული აქტივის 1984 წლის 21 ივლისის კრების დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში და რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოებში მოქალაქეთა მიღების და მშრომელთა წერილებსა და განცხადებებზე მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე.

საქართველოს პარტიული აქტივის კრების დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

სხდომებზე და მორიგ სესიებზე განიხილონ საქართველოს პარტიული აქტივის კრების შედეგები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი კრების დადგენილებიდან და კრებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენებიდან გამომდინარე ამოცანების განსახორციელებლად;

უზრუნველყონ წერილებზე მუშაობაში საჯაროობა, ღია წერილის დღის ჩატარება, დადებითი გამოცდილების განზოგადება. მოქალაქეთა წინადადებების, წერილების, განცხადება-საჩივრების შესწავლა-განხილვაში ფართოდ მიიზიდონ დეპუტატები, მუდმივი კომისიების წევრები, წარმოების მოწინავენი და აქტივი. მშრომელთა წერილებზე მუშაობის მდგომარეობისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე სისტემატურად მიაწოდონ ინფორმაცია მოსახლეობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროულად, საფუძვლიანად განიხილონ და სწორად გადაწყვიტონ ის წინადადებები და განცხადებები, რომლებიც მშრომელთა საჭიროებებსა და თხოვნას ეხება; შეისწავლონ და აღმოფხვრან მათი გამომწვევი მიზეზები; უცილობლივ შეასრულონ მოქალაქეთა მიმართვებთან დაკავშირებით მიღებული დადგენილებები და დაპირებები; აამაღლონ სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის დონე და სისტემატური მუშაობა ჩაატარონ მოსახლეობისათვის კანონმდებლობის განსამარტავად; სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებულ საბჭოთა აქტივის სემინარ-ლექტორიუმებში ჩაატარონ სპეციალური მეცადინეობა რესპუბლიკის პარტიული აქტივის 1984 წლის 21 ივლისის კრების შედეგებზე; აქტიური მონაწილეობა მიიღონ საქართველოს პარტიული აქტივის კრების დადგენილებით 1984 წლის მეოთხე კვარტალში გათვალისწინებული ღია წერილის ერთიანი დღის მომზადება-ჩატარებაში.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს, სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს და უწყებებს დაევალათ:

პრაქტიკაში ფართოდ დანერგონ საბჭოების სესიებზე, აღმასკომებისა და კოლეგიების სხდომებზე მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიშების მოსმენა მშრომელთა წერილებზე, განცხადება-საჩივრებზე მუშაობისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის გაწეული საქმიანობის შესახებ; აამაღლონ საწარმოთა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა და უზრუნველყონ აპარატში და დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში მშრომელთა განცხადება-საჩივრებისა და ზეპირი მიმართვების დროული და სწორი განხილვა. აღმოფხვრან ამ საქმეში გულგრილობის, საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის გამოვლინებანი. მეტი ყურადღება დაუთმონ კოლექტიური და განმეორებითი განცხადება-საჩივრების შესწავლას და მათი გამომწვევი მიზეზების გამოვლინება-აღმოფხვრას.

სხდომამ მიზანშეწონილად ჩათვალა შრომითს კოლექტივებსა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქალაქეთა მიღებასა და ღია წერილის დღის ჩატარებაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრების მონაწილეობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილებებს და პრეზიდიუმის წერილებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილებას მიეცათ სათანადო დავალებანი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობას წერილებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილებასთან ერთად დაევალა 1984 წლის ოქტომბრისათვის მოამზადოს რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების საერთო განყოფილებათა გამგეების თათბირ-სემინარი თემაზე: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმისა და სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებებიდან, „ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მითითებათა შესაბამისად მშრომელთა წერილებისა და განცხადებების დროული და ხარისხიანი განხილვისათვის რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების პასუხისმგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლობის ამაღლების შესახებ“ საქართველოს პარტიული აქტივის 1984 წლის 21 ივლისის კრების დადგენილებიდან გამომდინარე რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ამოცანები“; 1984 წლის სექტემბერში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის მუშაკთა საწარმოო თათბირზე განიხილოს საქართველოს პარტიული აქტივის 1984 წლის 21 ივლისის კრების შედეგები და დასახოს ღონისძიებანი მოქალაქეთა მიღების და მშრომელთა წერილებზე, განცხადება-საჩივრებზე მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

*

* *

მოისმინა რა ლაგოდეხის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ა. კაპანაძის ინფორმაცია ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისათვის ლაგოდეხის რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით აქტიურ მუშაობას ეწევიან სსრ კავშირის კონსტიტუციის მოთხოვნების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და მითითებების განსახორციელებლად.

ამასთან ერთად ხაზი გაესვა, რომ ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობის პრაქტიკაში ლაგოდეხის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოებს ჯერ კიდევ გააჩნიათ მთელი რიგი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ლაგოდეხის რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს, მათს აღმასრულებელ კომიტეტებს თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში განუხრელად იხელმძღვანელონ „ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობის ორგანიზაციის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის პირველი სექტემბრის ბრძანებულებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებით, პლენუმზე ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლაში ჩამოყალიბებული დებულებებითა და დასკვნებით და XIX მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებამდე დარჩენილ დროში უზრუნველყონ ამომრჩეველთა განაწესების დადგენილ ვადებში შესრულება, რისთვისაც:

ყოველმხრივ აამაღლონ ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად სათანადო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობა. საბჭოების სესიებსა და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე პერიოდულად განიხილონ განაწესების შესრულების მდგომარეობა. მკაცრი კონტროლი დააწესონ მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციისადმი. განაწესების განხორციელებისადმი კონტროლის საქმეში უფრო აქტიურად ჩააბან მუდმივი კომისიები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

სხდომამ განიხილა რა საკითხი „კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მისი როლის ამაღლების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებასთან დაკავშირებით ახალგაზრდობასთან მუშაობის გაუმჯობესებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ, დაადგინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და განუხრელად შესასრულებლად და დაეგზავნოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს დაევალათ:

კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშაონ ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიების წევრებისა და დეპუტატ-კომკავშირელების სწავლების ფორმები; სისტემატურად მოისმინონ ანგარიშები მათ მიერ სადეპუტატო მოვალეობის განხორციელების თაობაზე. გააძლიერონ ახალგაზრდობასთან მუშაობის დადებითი გამოცდილების პროპაგანდა, ფართოდ უჩვენონ მისი მონაწილეობა რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში, საბჭოთა სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა კომისიას და ყველა საფეხურის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივ კომისიებს რეკომენდაცია მიეცათ:

გააფართოონ კონტაქტები და თანამშრომლობა საბჭოების სხვა მუდმივ კომისიებთან და სხვა ორგანოებთან, რომლებიც დაკავებული არიან ახალგაზრდობის პრობლემებით. ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის ამოცანათა გადასაწყვეტად გააძლიერონ ურთიერთმოქმედება შრომითს კოლექტივებთან, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან. ხელი შეუწყონ შრომითს კოლექტივებში სათანადო პირობების შექმნას ახალგაზრდა მუშების მწარმოებლური შრომისათვის, პროფესიული დაოსტატებისათვის. მხარი დაუჭირონ ახალგაზრდათა შრომითს ინიციატივებსა და წამოწყებებს. მიიღონ ზომები შრომის და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის. გააძლიერონ კონტროლი ახალგაზრდობის სწავლის, შრომის, ყოფა-ცხოვრების, დასვენების, ჯანმრთელობის დაცვის თაობაზე კანონმდებლობის მოთხოვნათა განხორციელებისადმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას მუდმივი კომისიების მუშაობის განყოფილებასთან ერთად დაევალა 1985 წლის მეორე ნახევარში ჩაატაროს რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი საკითხზე — სსრ კავშირის უმაღლე-

*

* *

სხდომამ განიხილა რა საკითხი „კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მისი როლის ამაღლების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებასთან დაკავშირებით ახალგაზრდობასთან მუშაობის გაუმჯობესებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ, დაადგინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და განუხრელად შესასრულებლად და დაეგზავნოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს დაევალათ:

კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშაონ ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიების წევრებისა და დეპუტატ-კომკავშირელების სწავლების ფორმები; სისტემატურად მოისმინონ ანგარიშები მათ მიერ სადეპუტატო მოვალეობის განხორციელების თაობაზე. გააძლიერონ ახალგაზრდობასთან მუშაობის დადებითი გამოცდილების პროპაგანდა, ფართოდ უჩვენონ მისი მონაწილეობა რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში, საბჭოთა სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა კომისიას და ყველა საფეხურის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივ კომისიებს რეკომენდაცია მიეცათ:

გააფართოონ კონტაქტები და თანამშრომლობა საბჭოების სხვა მუდმივ კომისიებთან და სხვა ორგანოებთან, რომლებიც დაკავებული არიან ახალგაზრდობის პრობლემებით. ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის ამოცანათა გადასაწყვეტად გააძლიერონ ურთიერთმოქმედება შრომითს კოლექტივებთან, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან. ხელი შეუწყონ შრომითს კოლექტივებში სათანადო პირობების შექმნას ახალგაზრდა მუშების მწარმოებლური შრომისათვის, პროფესიული დაოსტატებისათვის. მხარი დაუჭირონ ახალგაზრდათა შრომითს ინიციატივებსა და წამოწყებებს. მიიღონ ზომები შრომის და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის. გააძლიერონ კონტროლი ახალგაზრდობის სწავლის, შრომის, ყოფა-ცხოვრების, დასვენების, ჯანმრთელობის დაცვის თაობაზე კანონმდებლობის მოთხოვნათა განხორციელებისადმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას მუდმივი კომისიების მუშაობის განყოფილებასთან ერთად დაევალა 1985 წლის მეორე ნახევარში ჩაატაროს რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი საკითხზე — სსრ კავშირის უმაღლე-

სი საბჭოს პრეზიდიუმის აღნიშნული დადგენილებიდან გამომდინარე ახალგაზრდობასთან მუშაობის გაუმჯობესებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოებიs ამოცანები.

* * *

პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა აგრეთვე საკითხი „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის, სსრ კავშირის XI მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებებიდან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებიდან და დასკვნებიდან გამომდინარე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ამოცანების შესახებ“ საკითხისადმი მიძღვნილი რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სესიების შედეგების თაობაზე და სხვ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხთა კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა საკითხი საგარეჯოსა და ჩოხატაურის რაიონების სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ქალთა შრომის დასაცავად კანონმდებლობისა და საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის გადაწყვეტილების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ საგარეჯოსა და ჩოხატაურის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოები პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ ქალთა შრომის დაცვის თაობაზე კანონმდებლობის მოთხოვნისა და ამ საკითხზე საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

ორივე რაიონის მთელ რიგ მეურნეობებში შედგენილია ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესებისა და გამჯანსაღებელ-პროფილაქტიკური ღონისძიებების პერსპექტიული გეგმები, გათვალისწინებულია საჭირო რაოდენობის სახსრები ტექნიკური უსაფრთხოების სამსახურის მუშაობის უკეთ წარმართვისა და საწარმოო ტრავმატიზმის თავიდან ასაცილებლად. სათანადო კონტროლი ეწევა გამოყოფილი თანხების დანიშნულებისამებრ გამოყენებას. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ფართოდ ინერგება თანამედროვე მექანიზაციის საშუალებები, მტკიცდება საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

საგარეჯოს რაიონის მეღორეობის კომპლექსში და მეფრინველეობის ფაბრიკაში, სადაც ძირითადად ქალები მუშაობენ, ყველა შრომატევადი პროცესი მექანიზებულია, საამქროებში მოწყობილია ქალთა ჰიგიენისა და დასვენების ოთახები, მომსახურე პერსონალი და მათ შორის ქალები უზრუნველყოფილი არიან სპეცტანსაცმლით, ფეხსაცმლითა და სხვა დამცავი საშუალებებით. ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა ტარდება აგრეთვე უდაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოს მეცხვარეობის და მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში, კაკაბეთის კოლმეურნეობაში.

ჩოხატაურის რაიონის შუაგანახლებისა და ხიდისთავის კოლმეურნეობებში, ქვენობნის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში გაძლიერდა ზრუნვა ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის. წარმოებაში დაინერგა ჩაის ფოთლის ხელით საკრეფი აპარატები, რიგ მეურნეობებში მოქმედებს სეზონური საბავშვო დაწესებულებები, საშუალო სკოლებთან შექმნილია გახანგრძლივებული დღის ჯგუფები. ორივე რაიონში ჩვილბავშვიანი დედებისათვის დაწესებულია არასრული სამუშაო დღე; გარდა ამისა მათ ეძლევათ დამატებითი დრო ბავშვთა კვებისათვის.

საგარეჯოსა და ჩოხატაურის რაიონებში ორსულობის პერიოდში ქალები გადაყავთ მსუბუქ სამუშაოზე, მათ დეკრეტულ შვებულებებში უშვებენ კანონმდებლობის სრულ შესაბამისობით.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება ქალთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები საჭირო მზრუნველობას იჩენენ მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის კანონმდებლობით დაწესებული შეღავათების გავრცელებაზე, მათ დროულად ენიშნებათ სახელმწიფო დახმარება. ქალთა შრომის შესახებ კანონმდებლობის დაცვის საქმეს სისტემატურად თვალყურს ადევნებენ საბჭოებთან ტერიტორიული პრინციპით შექმნილი დეპუტატთა ჯგუფები.

ამასთან ერთად კომისიამ აღნიშნა, რომ საგარეჯოსა და ჩოხატაურის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ქალთა შრომის დაცვის შესახებ კანონმდებლობის განხორციელების საქმეში კვლავ არსებითი ნაკლოვანებებია და სათანადო რჩევა მისცა საგარეჯოს და ჩოხატაურის რაიონების სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტებს. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს, ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს ეთხოვათ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საფინანსო-საწარმოო გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმონ ქალთა შრომატევადი სამუშაოების შემსუბუქების და სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებებს; მიიღონ ზომები სოფლის მეურნეობაში, განსაკუთრებით მევენახეობაში, მეჩაიეობაში, მებოსტნეობაში, მეთამბაქოეობაში, მეცხოველეობაში თანამედროვე მექანიზაციის უფრო ფართოდ დანერგვისათვის.

საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკურ საბჭოს ეთხოვა განახორციელოს ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ქალების სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში საოჯახო საგზურებით უკეთ მომარაგებისათვის, ხოლო რესპუბლიკის პროკურატურას, სახალხო კონტროლის კომიტეტს, პროფსაბჭოს და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს — გააძლიერონ ზედამხედველობა და კონტროლი სასოფლო-სამეურნეო

წარმოებაში დასაქმებულ ქალთა შრომის შესახებ კანონმდებლობის დაცვისადმი.

*
* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის კომისიამ განიხილა საკითხი „დაბის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის კაზრეთის სახალხო დეპუტატთა სადაბო საბჭოს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანების შესასრულებლად აგარის სახალხო დეპუტატთა სადაბო საბჭოს მუშაობის თაობაზე, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიამ — სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების შესაბამისად რკინიგზის მისასვლელ გზებზე ვაგონების გამოყენების გასაუმჯობესებლად საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.